სიტყვით გამოსვლა

მოდული: კომუნიკაცია ქართულ ენაზე

თემა: სწავლა-აღზრდა

ლექტორი: გიული ყულუმბეგაშვილი

სტუდენტი: მარიამ ჩიტაიშვილი

გამარჯობა ყველას,

საოცარია დღეს აქ ყოფნა იმავე სკოლაში, იმავე კლასებში, იმავე სკამებზე, სადაც ერთხელ მეც ვიჯექი, თქვენი ასაკის ბავშვური ოცნებებით სავსე. მაშინ ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე სცენაზე ვიდგებოდი, როგორც ადამიანი, რომელმაც თავისი პატარა, მაგრამ დიდი იდეა რეალობად აქცია.

როცა თქვენი ასაკის ვიყავი, ხშირად მესმოდა:

„ეს შენთვის შეუძლებელია“

„ასეთი რაღაცები მხოლოდ ფილმებში ხდება“

ხანდახან მეც ვიჯექი ფანჯარასთან, ვუყურებდი ცას და ვფიქრობდი: „ნუთუ მართლა შეუძლებელია?“

მაგრამ რაც მაშინ გავაცნობიერე, და რაც დღემდე ჩემი მთავარი მოტივაციაა: ყოველთვის გჯეროდეს შენი შესაძლებლობების, მიუხედავად იმისა, რას გეუბნებიან სხვები.

ჩემი გზა არც ისე მარტივი იყო. მე დავიწყე ნულიდან პატარა ოთახიდან, ძველ ლეპტოპთან, დიდი ოცნებებით. ბევრჯერ ჩავარდნილი პროექტი, ბევრი ღამე მარტო, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა. მახსოვს ღამე, როცა მთელი გუნდის შრომა, რომელზეც წლები

ვმუშაობდით, ერთბაშად დაიკარგა. ვიჯექი ოფისში და ვფიქრობდი: „იქნებ ყველაფერი დასრულდა?“

მაგრამ მაშინ გამახსენდა პატარა მე ბავშვი, რომელიც ოცნებობდა, მაშინ მივხვდი ერთ რამეს: წარუმატებლობა არ არის მარცხი, თუ არ შეწყვეტ ბრძოლას. მეორე დღეს ისევ დავიწყე ნულიდან, უფრო რწმენით სავსე, უფრო მტკიცე.

მოკლედ, რომ გითხრათ: წარმატება იწყება საკუთარი თავის რწმენიდან. შეიძლება სხვა ადამიანები ფულს დაეძებენ ან პოპულარობას, მაგრამ ნამდვილი წარმატება მოდის იქიდან, როცა გჯერა საკუთარი შესაძლებლობებისა და გიყვარს ის, რასაც აკეთებ.

მინდა გითხრათ: შეგიძლიათ ყველაფერი. შეგიძლიათ შექმნათ ისეთი რამ, რაც შეცვლის სამყაროს; დაწეროთ სიმღერა, გადაარჩინოთ ვილაც, მხოლოდ იმიტომ, რომ გჯერათ. გზა რთული იქნება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისაა, რომ არ გაჩერდეთ და გჯეროდეთ საკუთარი ძალების.

გახსოვდეთ, საიდან იწყებთ, დაიცავით თქვენი პირველი ოცნება და რწმენა საკუთარ თავში. ერთ დღეს, როცა თქვენც წარმატებას მიაღწევთ, იდგებით სცენაზე და უთხარით ახალ თაობას:

„უბრალოდ დავიწყე, არ შევჩერებულვარ და მჯეროდა.“

და იქ, თქვენს თვალებში დაინახავთ იმ პატარა ბავშვის ოცნებას, რომელიც აქ, ამ სკოლის კედლებში, პირველად გაბედა ოცნება და სწორედ მისი რწმენა გახდა ყველაფრის დასაწყისი.

გმადლობთ.